

ელექტრონული სწავლების კონცეფცია  
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის

მარიამ ფოფხაძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და  
ხელოვნების ფაკულტეტზე ინფორმაციის მენეჯერის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ინფორმაციის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია გაბრიჩიძე, მაგისტრი, ასისტენტ პროფესორი

დავით კიზირია, მაგისტრი, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

მარიამ ფოფხაძე

09.07.2014

## აბსტრაქტი

კვლევის მიზანია, ეფექტური ელექტრონული სწავლების კონცეფციის შემუშავება შეზღუდული შესაძლებლობის, კერძოდ, სმენისა და მხედველობის პრობლემების მქონე სტუდენტებისთვის. იმ ფაქტორების და გარემოებების განსაზღვრა, რომელიც უზურუნვეყოფს წარმატებული ელსწავლების დანერგვას შშმ სტუდენტებისთვის.

ნაშრომში წარმოდგენილია შშმ სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა ელექტრონული სწავლების დახმარებით. განხილულია ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა, საკანონმდებლო რეგულაციები და მიდგომები, რომელიც არეგულირებს შშმ პირების განათლების მიღებას. ასევე წარმოდგენილია ელექტრონული სწავლების მეთოდები და ინსტრუმენტები, რომელიც უზურუნვეყოფს ხელმისაწვდომ სასწავლო გარემოს. გათვალისწინებულია შშმ სტუდენტების დამოკიდებულება და კმაყოფილება ელექტრონული სწავლების მიმართ.

კვლევა ძირითადად ეფუძნება ამ სფეროში არსებულ ავტორიტეტული ნაშრომების, სტატიების ანალიზს და ინკლუზიური განათლების სფეროში ჩართული ფსიქოლოგების, მასწავლებლების შეხვედრებებს.

კვლევის შედეგებში წარმოდგენილია, ელსწავლების გარემოებები, ფაქტორები და ინსტრუმენტები, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული მხედველობისა და სმენის პრობლემების მქონე სტუდენტებისთვის ეფექტური ელექტრონული სწავლების დანერგვის დროს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** შშმ სტუდენტების განათლება, ინკლუზიური განათლება, ელექტრონული სწავლება შშმ სტუდენტებისთვის, ელექტრონული სწავლების მეთოდები, ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტები, ელექტრონული სწავლების ეფექტურობა, შშმ სტუდენტების უმაღლესი განათლება.